ხელშეკრულება

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებიდან ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივისათვის მიწოდების თაობაზე

ქ. თბილისი 24 მაისი 2016 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში - „არქივი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **თეონა იაშვილის** სახით, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში - „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ირაკლი გვენეტაძის** სახით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით (შემდგომში-„მხარეები“),

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ და „ თ“ ქვეპუნქტებით, „სოციალური დახ მარების შესახებ“ სა ქართველოს კ ანონის მ ე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის N228 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის N506 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების“ (შემდგომში- „არქივის მომსახურების წესი“) მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-17 პუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „არქივისათვის“, „სამინისტროსა“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი ბაზებიდან (შემდგომში-„ბაზები“), შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ პირ(ებ)ის შესახებ, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ნაკლებია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით დადგენილ ზღვრულ ქულაზე;

ბ) სახელმწიფო პენსიის მიმღები პირების შესახებ.

2. „არქივისათვის“, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაცემების მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

2. მხარეები აღიარებენ, რომ ხელშეკრულების ფარგლებში, მართვის ავტომატური საშუალებების (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის) გამოყენებით წარდგენილ დოკუმენტს (ინფორმაციას) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ დოკუმენტს.

3. შესაბამისი „მხარეები“ კისრულობენ პასუხიმგებლობას, რომ დაიცავენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას და დაამუშავებენ ამ ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის.

მუხლი 3. ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა

1. „არქივი“ უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით, გამოითხოვოს „სააგენტოსაგან“ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია „ბაზებში“ რეგისტრირებული იმ პირების შესახებ, რომლებიც პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართავენ „არქივს“, უშუალოდ მათთან დაკავშირებული შესაბამისი „მომსახურების მისაღებად“.

2. „არქივი“ უფლებამოსილია, ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია გამოითხოვოს არაერთჯერადად.

3. „არქივის" მიერ „სააგენტოსადმი" წარდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ფიზიკური პირის პირად ნომერს, რაზედაც „სააგენტოსაგან" დაუბრუნდება პასუხი ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. „სააგენტო" ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიღებისთანავე, დროის რეალურ რეჟიმში, აწვდის „არქივს" ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას.

მუხლი 4. კავშირის უზრუნველყოფა

1. „არქივისათვის" ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2. ინფორმაციის მისაწოდებლად, მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა;

3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 5. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „არქივი" ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) „სააგენტოსაგან" ინფორმაცია გამოითხოვოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით გათვალისწინებული პირობებით;

გ) არ დ აუშვას „ სააგენტოსაგან" მიღებულ ინფო რმაციაზე მეს ამე პირ თა დ აშვება (წვდომა), „სააგენტოსგან" მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა),

როგორც ხ ელშეკრულების მ ოქმედების ვ ადის გა ნმავლობაში, ასევე, ამ ვ ადის გას ვლის შემდგომ;

დ) უზრუნველყოს „სააგენტოს“ „ბაზებიდან“, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად;

ე) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები, მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების ასაცილებლად, ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებლად;

ვ) ხელშეკრულების ფარგლებში, აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით მიღებული ინფორმაცია, „ბაზებში“ რეგისტრირებული პირ(ებ)ის პირადი რეკვიზიტებისა და ინფორმაციის გამოთხოვის სერვისით სარგებლობის თარიღის/დროის მიხედვით. ამ პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფრომაცია არქივში უნდა ინახებოდეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ზ) მიაწოდოს მხარეებს ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

თ) აცნობოს „სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2. პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ „არქივის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებული იქნება „არქივის“ საქმიანობასთან და გამოყენებულ იქნება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისი მიზნებისთვის, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, ეკისრება „არქივს“.

3. „არქივი“ უფლებამოსილია, გამოითხოვოს „სააგენტოს“ „ბაზებში“ დაცული, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, „არქივის მომსახურების წესით“ გათვალისწინებული მიზნებისათვის, საჭიროების მიხედვით.

4. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) „არქივს“ ინფორმაცია მიაწოდოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების გაცემის თარიღი) „ბაზებში“ არსებული მდგომარეობით;

გ) „არქივის“ მიერ, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართი N1 და N2 შესაბამისად, ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ.

5. ”სააგენტო“ პასუხისმგებელია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) „ბაზებში“ დაფიქსირებული მონაცემების სისწორეზე.

6. „ბაზების“ მართვის პროცესების სპეციფიურობის გათვალისწინებით, „სააგენტო“ პასუხს არ აგებს „არქივისათვის“ მონაცემთა სუბიექტზე ინფორმაციის მიწოდების შემდგომ პერიოდში, ამ ინფორმაციის ნებისმიერი სახით ცვლილების გამო დამდგარ შედეგზე.

7. „სააგენტო“ უფლებამოსილია, მოსთხოვოს „არქივს“ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ - ამ მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება.

8. „სამინისტრო“ ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება.

9. „სამინისტრო“ უფლებამოსილია, მოსთხოვოს „არქივს“ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ - ამ მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება.

10. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) არ დ აუშვას „ სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მეს ამე პირ თა დ აშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კოპირება/შენახვა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

გ) ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილებების თაობაზე აცნობოს „მხარეებს“, შეფერხებამდე/ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

დ) სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით, ელექტრონული ფოსტით) „მხარეებს“ აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება

ე) ხელშეკრულების ფარგლებში და კომპეტენციის შესაბამისად, აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის ინფორმაცია (მესიჯების გამოძახების სტატისტიკა). ამ პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფრომაცია „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში“ უნდა ინახებოდეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ვ) მიაწოდოს მხარეებს ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

11. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ პასუხისმგებელია ამ ხელშკრულების ფარგლებში მისთვის ცნობილ ინფორმაციაზე არაავტორიზებული ან არასანქცირებული წვდომის შემთხვევებზე.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის „მხარეები“ პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არია ნ პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა დ ა ს ხვა ს ტიქიური მოვლენები, აგრეთვე, საომარი მ ოქმედებები, თ უ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში, მათი შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, აცნობებს სხვა მხარე(ებ)ს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „მხარეები“ წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ამ ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულად ითვლება მომდევნო 1 წლის ვადით. ეს წესი მოქმედებს ყოველი ვადის გასვლისას.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია, ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად;

4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

5. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 10. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქა რთველოს კა ნონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ძალას კარგავს „არქივსა“ და „სააგენტოს“ შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება, მემორანდუმი და ა.შ.), რაც უკავშირდება „არქივისათვის“ „სააგენტოს“ „ბაზებიდან“ მონაცემთა მიწოდებას/ბაზებთან წვდომას.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

4. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ბაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

თენგიზ აბაზაძე
დირექტორის მოადგილე

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 211358957

თეონა ბაშვილი
გენერალური დირექტორი

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699

ირაკლი გვენეტაძე
თავმჯდომარე

დანართი 2

სახელმწიფო გასაცემლების მონაცემთა ბაზასთან ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია, არის თუ არა პიროვნება სახელმწიფო გასაცემლების მონაცემთა ბაზაში პენსიის მიმღები.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- გასაცემლის ტიპი (მიუთითეთ „Old_Age_Pension“)
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml შაბლონით:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonOnPayoutType</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:cra:call:MOH_SSA_CheckPersonOnPayoutType:v1">
      <PrivateNumber>Private Number</PrivateNumber>
      <PayoutType>Payout Type</PayoutType>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonOnPayoutType</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp> Gateway Timestamp</GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <PersonOnPayoutTypeResultEntity xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance"
xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonOnPayoutType:v1">
      <ResultStatus>
        <StatusCode> Status Code </StatusCode>
```

```
        <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
      </ResultStatus>
      <PersonOnPayoutTypeInfo>
        <IsInPayoutType> Is In Payout Type (true/false)</IsInPayoutType>
      </PersonOnPayoutTypeInfo>
    </PersonOnPayoutTypeResultEntity>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `PersonOnPayoutTypeResultEntity` კლასი (იხ. ქვემოთ)

მოთხოვნის პასუხის სტატუსის (სერიალიზირებული `ResultStatus` კლასი) მნიშვნელობები მოცემული **ცხრილი #1**

ოპერაციის გამოძახების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

PersonOnPayoutTypeResultEntity კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// პასუხი მოთხოვნაზე
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;                                  // ოპერაციის სტატუსი
    string StatusDescription;                        // ოპერაციის სტატუსის განმარტება
}

/// <summary>
/// პიროვნების შემოწმება გასაცემლის ტიპზე, არის თუ არა მისი მიმღები
/// </summary>
[DataContract]
public class PersonOnPayoutTypeResultEntity
{
    public ResultStatus ResultStatus                        // ოპერაციის სტატუსი
    public PersonOnPayoutTypeInfo PersonOnPayoutTypeInfo    // პიროვნების გასაცემლის ტიპი
}

public class PersonOnPayoutTypeInfo
{
    public bool IsInPayoutType              //არის თუ არა პიროვნება გასაცემლის ტიპის მიმღები
    public string PayoutTypeDescription     //გასაცემლის ტიპის განმარტება
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	არასწორი მომხარებლის სახელი/პაროლი, ან დაშვება შეზღუდულია
შეცდომა	-1	არასწორი პირადი ნომრის ფორმატი
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	ოპერაცია დამთავრდა წარმატებით

დანართი 1

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია, არის თუ არა პიროვნება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonUnderPoverty</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები </SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonUnderPoverty:v1">
      <PrivateNumber>PrivateNumber</PrivateNumber>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonUnderPoverty</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp>2016-04-13T02:38:52</GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <PeronUnderPovertyResult xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance"
xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonUnderPoverty:v1">
      <ResultStatus>
        <StatusCode> Status Code </StatusCode>
        <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
      </ResultStatus>
      <PeronsUnderPoverty>
          <PrivateNumber>Private Number</PrivateNumber>
          <IsUnderPoverty>Is Under Poverty</IsUnderPoverty>
      </PeronsUnderPoverty>
    </PeronUnderPovertyResult>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `PeronUnderPovertyResult` კლასი (იხ. ქვემოთ)

მოთხოვნის პასუხის მნიშვნელობები მოცემული ცხრილი #1

ოპერაციის გამოძეხების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage
xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
```

```
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

PeronUnderPovertyResult კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;                 // სტატუსი კოდი
    string StatusDescription;       // სტატუსის განმარტება
}
```

```
/// <summary>
/// მოთხოვნის, არის თუ არა პიროვნება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ პასუხი
/// </summary>
public class PeronUnderPovertyResult
{
     public ResultStatus ResultStatus
     public PeronUnderPovertyResultEntity PeronsUnderPoverty
}

/// <summary>
/// პირად ნომერს მიწერილი არის თუ არა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
/// </summary>
public class PeronUnderPovertyResultEntity
{
    public string PrivateNumber
    public bool IsUnderPoverty
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	because of technical gap, it is impossible to search information
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	Operation success

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030430331420516

№ 04-240/ო **20 / მაისი / 2016 წ.**

უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) დირექტორის მოადგილეს - თენგიზ აბაზაძეს, მიენიჭოს უფლებამოსილება, სააგენტოს სახელით ხელი მოაწეროს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც უკავშირდება სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისათვის, სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი მონაცემთა ბაზებიდან, ინფორმაციის მიწოდების საკითხებს.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე